ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 72

"21" ნოემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ევგენი ხარაძის ქუჩა, №18; ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: №№01.11.12.019.039; 01.11.12.019.821; 01.11.12.019.817; 01.11.12.019.201; 01.11.12.019.823; 01.11.12.019.202; 01.11.12.019.820; 01.11.12.019.822; 01.11.12.019.809; ფართობი - 23 921 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39^3 და 39^5 მუხლების და „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ევგენი ხარაძის ქუჩა №18; ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: №01.11.12.019.039; 01.11.12.019.821; 01.11.12.019.817; 01.11.12.019.201; 01.11.12.019.823; 01.11.12.019.202; 01.11.12.019.820; 01.11.12.019.822; 01.11.12.019.809; ფართობი - 23 921 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 ნოემბრის №25.1909.2156 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ევგენი ხარაძის ქუჩა, №18; ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: №№01.11.12.019.039; 01.11.12.019.821; 01.11.12.019.817; 01.11.12.019.201; 01.11.12.019.823; 01.11.12.019.202; 01.11.12.019.820; 01.11.12.019.822; 01.11.12.019.809; ფართობი - 23 921 კვ.მ.) მიმართებაში, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.3-მდე, რაც გულისხმობს „A1" და „A2" ბლოკებზე 3-3 (სამ-

სამი), ხოლო „A4“, „A5” და „A6” ბლოკებზე 4-4 (ოთხ-ოთხი) სართულის დამატებას და შემდეგი შენობების განთავსებას: შენობა A1-18 სართული; შენობა A2-15 სართული; შენობა A3-ს სართულიანობა რჩებაუცვლელი; შენობა A4-17 სართული; შენობა A5-18 სართული; შენობა A6-17 სართული.

ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლესა და სართულიანობასთან დაკავშირებული რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.

2. დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასისგადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების №300773297 სახაზინო კოდზე, კერძოდ, კერძოდ, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ში არსებულ 23,098.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.11.12.019.039) კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.3-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 5,136,995.20 (ხუთი მილიონ ას ოცდათექვსმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი და ოცი მეასედი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ არსებულ 35.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. 01.11.12.019.821) - 8,176.00 (რვა ათას ას სამოცდათექვსმეტი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ არსებულ 451.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. 01.11.12.019.817) - 105,353.60 (ას ხუთი ათას სამას ორმოცდაცამეტი და სამოცი მეასედი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ არსებულ 123.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.11.12.019.201) - 28,732.80 (ოცდარვა ათას შვიდას ოცდათორმეტი და ოთხმოცი მეასედი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ არსებულ 9.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.11.12.019.823) - 2,102.40 (ორი ათას ას ორი და ორმოცი მეასედი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ არსებულ 25.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.11.12.019.202) - 5,840.00 (ხუთი ათას რვაას ორმოცი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ არსებულ 49.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.11.12.019.820) - 11,446.40 (თერთმეტი ათას ოთხას ორმოცდაექვსი და ორმოცი მეასედი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ არსებულ 81.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.11.12.019.822) - 18,921.60 (თვრამეტი ათას ცხრაას ოცდაერთი და სამოცი მეასედი) ლარს, ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ 50.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.11.12.019.809) კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.3-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 11,680.00 (თერთმეტი ათას ექვსას ოთხმოცი) ლარს, ხოლო ჯამურად - 5,329,248.00 (ხუთი მილიონ სამას ოცდაცხრა ათას ორას ორმოცდარვა) ლარს.

3. დაინტერესებულმა პირმა ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას.

4. ამ განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

5. იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებია მშენებლობა, დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე უნდა წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა,

რომლითაც დადასტურებელი იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

6. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე